სამშაბათი,
13 აგვისტო,
1957 წელი
№ 97 (1118)
ფასი 30 კაპ.
გამოცემის 30-18 წელი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

საქართველოს სსრ მინისტრთა
საბჭოსთან არსებული ფიზიკური
კულტურისა და სპორტის კო-
მიტეტისა და პროფკავშირთა
საქართველოს რესპუბლიკური
საბჭოს ორგანო

—ჩვენი საბრძოლო დევიზია მშვიდობა, მეგობრობა!— განაცხადეს ფესტივალის, თამაშების მონაწილეებმა

დამთავრდა მიმდინარე წლის ყველაზე უფრო გრანდიოზული და მასობრივი საერთაშორისო შეჯიბრება. III ახალგაზრდული თამაშების დამთავრების ცერემონიალი ისეთივე ბრწყინვალე იყო, როგორც დაწყების. საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის ფეხბურთელთა გუნდების საფინალო მატჩის შემდეგ სტადიონზე გაისმა ფანფარების ხმა და მწყობრი ნაბიჯით შემოვიდა მედროშეთა კოლონა. მას მოჰყვებოდნენ თამაშების მონაწილენი. მაყურებელი ფეხზე ამდგარი მიესალმებოდა მსოფლიოს საუკეთესო სპორტსმენებს. სპორტსმენთა კოლონას მისასალმებელი სიტყვით მიმართა და შემდგომი წარმატება უსურვა საბჭოთა კავშირის ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარემ ანდრიანოვმა.

ალლუმის კომანდორის ბრძანებით კოლონას გამოეყო 12 სპორტსმენი. ჯგუფი ანძისაკენ გაემართა, მესამე სპორტული თამაშების ალამი დაეშვა... იგი ანძიდან შეხსნეს სპორტსმენებმა. გამართულ მკლავებზე მაღლა აღმართეს და თამაშების მონაწილეებთან ერთად სტადიონის ტრიბუნების წინ ამაყად ჩაატარეს.

თამაშები დამთავრდა. ჯილდოები განაწილდა. ყველა თავის სამშობლოსაკენ გაემართა. სპორტსმენებმა თან წაიღეს წარუშლელი შთაბეჭდილებები და ის სითბო და კეთილმობილური გრძნობები, რომელიც მათ მოსკოვში იხილეს.

• • •

სურათებზე: ზევით მარცხნივ. მშვილდოსანთა შეჯიბრება. პოლონელი სპორტსმენი ვ. კინზერა ამოწმებს მის მიერ ნატყორცნი ისრების მოხვედრის სიზუსტეს. მარჯვნივ — ჩეხოსლოვაკელი მშვილდოსანი ქალი ოლუშა ჟანკოვა შეჯიბრების დროს. ქვევით — მესამე სპორტული თამაშების საზეიმო დახურვა ვ. ი. ლენინის სახელობის სტადიონის ცენტრალურ მოედანზე.

ამას ნახავთ ეკრანზე

ფილმებში, რომელიც იქმნება საბჭოთა, ბელგიელი, ფინელი, ფრანგი, მექსიკელი და სხვა ქვეყნების ოპერატორთა მონაწილეობით, ნაჩვენები იქნება ფესტივალის მონაწილეთა საზეიმო მსვლელობა მოსკოვის ქუჩებში, ფესტივალის გახსნის ცერემონიალი ვ. ი. ლენინის სახელობის სტადიონზე, მხატვრული კონცერტები და სპორტული თამაშები.

საბჭოთა კინომუშაკები ფესტივალის დღეებში ქმნიან სრულმეტრაჟიან ფილმებს „140 ალამი", „საერთაშორისო კონცერტი", კინოფილმს ფართო ეკრანისათვის — „ფესტივალის დღეებში" და სრულმეტრაჟიან ფილმს მიძღვნილს III სპორტული თამაშებისადმი.



ავტოგრაფების მოყვარული დროს არ კარგავს...



ჯილდოები მოიტანეს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემი ტრიუმფი საერთაშორისო სარბიელზე

◆

ბ. გურგენიძე,
სპორტის ოსტატი.

◆

ჯერ კიდევ სკოლაში წამიკითხავს, რომ „861 წელს ერთი ნორვეგიელი ვიკინგი ნად-ოდდი ატლანტიკის ოკეანის ჩრდილოეთ ნაწილში მეკობრული თარეშობისას გაიტაცა ქარიშხალმა თოვლით დაფარულ ქვეყნამდე, რომელსაც მან სნოლანდი (თოვლიანი ქვეყანა) უწოდა. უფრო გვიან იმ ქვეყანას დაარქვეს ისლანდი (აისლანი), ე. ი. ყინულოვანი ქვეყანა. რამდენიმე ხნის შემდეგ ნორმანმა ინგოლფმა დაიპყრო იგი და დააარსა ქალაქი რეიკიავიკი. შემდეგ ნორვეგიიდან ისლანდიაში გადასახლებულებმა დააარსეს რესპუბლიკა“. მაგრამ არასოდეს არ წარმოვიდგენდი, რომ ოდესმე მოვხვდებოდი ამ მართლაც მივარდნილ კუნძულზე.

ამიტომ მოულოდნელი იყო ჩემთვის, როდესაც მაისის დამლევს მოსკოვიდან მომივიდა დეპეშა. ჭადრაკის საკავშირო სექცია წინადადებას მაძლევდა, რომ მომზადებულიყავი გასამგზავრებლად რეიკიავიკს, სტუდენტთა IV მსოფლიო გუნდურ პირველობაში მონაწილეობის მისაღებად.

სამართლე რომ ვთქვა, ამ ამბავმა ცოტათი შემაშინა კიდეც. საზღვარგარეთ საბჭოთა კავშირის საჭადრაკო პრესტიჟის დაცვა დიდი ნდობა იყო. ადრე ხომ არასოდეს არ მიმიღია მონაწილეობა საერთაშორისო შეჯიბრებაში და ცხადია იოტის ოდენა გამოცდილებაც არ მქონდა, მაგრამ შინაგანი რწმენა მიკარნახებდა, რომ შევძლებდი.

დავიწყე მზადება. პირველ რიგში იგი იმაში გამოიხატებოდა, რომ დავამთავრე საგაზაფხულო გამოცდები საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, სადაც მე გეოლოგიის ფაკულტეტზე ვსწავლობ, ხოლო შემდეგ უშუალოდ ჭადრაკს დავუბრუნდი. ივნისის ბოლოს მოსკოვის მახლობლად მთელი ჩვენი გუნდი — გროსმაისტერები მიხეილ ტალი, ბორის სპასკი, ოსტატები ლევ პოლუგაევსკი, ალექსანდრე ნიკიტინი, ოსტატობის კანდიდატი აივარ გიპსლისი და მე, გროსმაისტერ ი. ავერბახისა და საერთაშორისო ოსტატ ი. კანის ხელმძღვანელობით გავდიოდით წვრთნას.

9 ივლისს ვნუკოვის აეროდრომიდან ჩვენი სპორტული დელეგაცია გაფრინდა რეიკიავიკისაკენ. იმავე დღეს სტოკჰოლმში ვიყავით. აქ მიგვიღეს, როგორც კარგი ნაცნობები. ამ საავიაციო მარშრუტით მოგზაურობენ საბჭოთა მოჭადრაკეები ევროპისა თუ ამერიკის საერთაშორისო შეჯიბრებებზე. ამიტომ საბჭოთა გროსმაისტერებსა და ოსტატებს პორტის მომსახურე პერსონალი კარგად იცნობს. მათთვის მხოლოდ მე და ა. გიპსლისი აღმოვჩნდით უცნობები. ერთმა მოხუცებულმა კარისკაცმა გვითხრა: „მე კარგი ფეხისა ვარ, ვინც ამ კარით შევა ევროპაში, შინ ყოველთვის გამარჯვებული ბრუნდება“. ამაზე მე გამეღიმა. მაშინ მოხუცმა დაუმატა: „ჰკითხეთ თქვენს მეგობრებს და ისინი დამიმოწმებენ“.

კოპენჰაგენში, სადაც ჩვენ სტოკჰოლმიდან ჩავედით, გულთბილი შეხვედრა მოგვიწყვეს საბჭოთა საელჩოს მუშაკებმა. აქ ჩვენ გავიცანით რუმინეთის, ჩეხოსლოვაკიის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის, ბულგარეთის, უნგრეთის სტუდენტი მოჭადრაკეები, რომლებსაც აგრეთვე რეიკიავიკისაკენ ჰქონდათ გზა. დანიის სტუდენტთა კავშირმა გვთხოვა უკან დაბრუნებისას მატჩი გაგვემართა ამ ქვეყნის სტუდენტ-მოჭადრაკეებთან. ჩვენ მივიღეთ წინადადება.

თვითმფრინავი ჰაერშია. ქვევით მოჩანს ატლანტიის ოკეანის უნაპირო სივრცე. თუმცა კოპენჰაგენ-რეიკიავიკის გზა 6 საათს გრძელდებოდა, მაგრამ იგი ძალზე შეუმჩნევლად გავიდა. იმიტომ, რომ თვითმფრინავში მრავალეროვანმა მოჭადრაკეებმა ვეებერთელა ასპარეზობა გამართეს. ელვისებურ თამაშში ყველას ტალი ჯობნიდა. სხვათა შორის, აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ტალს დაუყარეს ხმა, თითქოს იგი საკავშირო პირველობაში დიდი წარმატების შემდეგ შიზოფრენიით გამხდარიყო ავად. სიცრუეა. ტალს ტურნირის შემდეგ მამა მოუკვდა. ეს ძლიერ განიცადა ჭაბუკმა და ორივე ფეხის დამბლა დაეცა. ნიჭიერი გროსმაისტერი ექიმებისა და ამხანაგების ყურადღებით ორიოდე თვეში განიკურნა. საინტერესოა, რომ ავადმყოფობის დროს რიგაში ტალის ამხანაგებმა მას ერთდროული თამაშის სეანსი ჩაატარებინეს. იმის გამო, რომ თვითონ ტალი ვერ დაიარებოდა, ამხანაგებს იგი მაგიდიდან მაგიდაზე ხელით აყვანილი დაჰყავდათ.

მხიარულ თამაშებში, ახალ ნაცნობებთან მეგობრულ მასლაათში ჩავფრინდით რეიკიავიკში. აეროდრომზე დიდძალი ხალხი დაგვხვდა. აქ იყვნენ პირველობის ორგანიზატორები, ქალაქის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელები, ისლანდიელი მოჭადრაკეები და სპორტის მოყვარულნი. გაზეთების კორესპონდენტები და ფოტორეპორტიორები არ გვასვენებდნენ. რატომღაც მე ამომიჩემეს თვალში და აჩხაკუნებდნენ აპარატებს. ამაზე სპასკიმ, რომელმაც იცის ინგლისური ენა, სიცილით მითხრა: „ისინი ამბობენ, რომ შენ სხვანაირი, შავი, ულვაშებიანი რუსი ხარ, არ გავხარ ჩვეულებრივს“.

იმავე დღეს, 11 ივლისს, რეიკიავიკში ჩამოვიდნენ სხვა დელეგაციებიც. სულ შეიკრიბა 16 სახელმწიფოს გუნდი. რეიკიავიკის უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში მოეწყო სტუდენტთა IV მსოფლიო გუნდური პირველობის გახსნის საზეიმო ცერემონიალი. სიტყვებით გამოსულებმა აღნიშნეს, რომ ეს პირველობა კიდევ ერთი დიდი ღონისძიებაა მსოფლიოში მშვიდობის საქმის განმტკიცებაში.

გუნდები მოათავსეს მეზღვაურთა სკოლის საერთო საცხოვრებელში, რომელიც ამ დროისათვის თავისუფალი იყო. ნორჩი მეზღვაურები ზღვაში სასწავლო გემებით იყვნენ გასული. ორ კაცზე თითო ოთახი მოგვცეს. ოთახის ოთხივე კედელი პორნოგრაფიული სურათებით იყო „მორთული“, რაც ალბათ იქ აღზრდის დაშვებული მეთოდია. აქ მხოლოდ რამდენიმე დღე დავყავით. შემდეგ ჩვენი ხარჯით დავიქირავეთ ნომრები სასტუმროში, სადაც მართლაც ნორმალური პირობები შეგვექმნა.

პირველობის დაწყებამდე გადავწყვიტეთ გავცნობოდით რეიკიავიკს. იგი პატარა, სუფთა და კოხტაა. ქალაქში 50.000 მცხოვრებია. ქუჩები სწორია ლარივით, ხოლო მის გასწვრივ ორ-სამ სართულიანი კოტეჯებია გაშენებული. საინტერესოა, რომ ეს სახლები ყველა ფერითაა შეღებილი. ნახავთ წითელს, შავს, მწვანეს, ყვითელს და სხვა ფერის სახლებს. მათ წინ ხელოვნური ტბებია, სადაც რა ჯურის ფრინველს არ დაინახავთ. რეიკიავიკში ერთ ხესაც ვერ ნახავთ. არის მხოლოდ პატარა მწვანე მდელოები.

(გაგრძელება იქნება)

ვინ ითამაშებს პრეტენდენტთა ტურნირში

მსოფლიო ჩემპიონის სახელის პრეტენდენტის გამოსავლინებლად საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის XXVII კონგრესმა შეიმუშავა სათანადო ღონისძიება. მან ზონალური ტურნირების ჩატარებისათვის ჩამოაყალიბა 9 ზონა: ევროპაში — 4 (მეოთხეა საბჭოთა კავშირი), ამერიკაში — 4 (ამერიკის შეერთებული შტატები, კანადა, ცენტრალური ამერიკის ქვეყნები, სამხრეთ ამერიკის ქვეყნები) და ერთი აზიის ქვეყნებში.

პრეტენდენტების ტურნირში, რომელიც გათვალისწინებულია ჩატარდეს 1959 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში, მონაწილეობას მიიღებს შვიდი მოჭადრაკე: მ. ბოტვინიკი, თუ იგი მატჩ-რევანშში ვერ დაიბრუნებს მსოფლიო ჩემპიონის სახელს, ან ვ. სმისლოვი, თუ იგი წააგებს მატჩ-რევანშს; პ. კერესი, როგორც წინა პრეტენდენტთა ტურნირის (ამსტერდამი, 1956 წ.) მეორე პრიზიორი; საზონათშორისო ტურნირის ხუთი გამარჯვებული, იმ პირობით თუ პრეტენდენტთა ტურნირში არ იქნა ერთი ქვეყნის ოთხ წარმომადგენელზე მეტი.

პრეტენდენტთა ტურნირი ოთხ წრედ ჩატარდება.

საზონათშორისო ტურნირში ადგილები შემდეგნაირადაა განაწილებული: ოთხი გამარჯვებული დაიშვება საბჭოთა კავშირის 1958 წლის პირველობიდან, სამი ევროპის ყველა ზონიდან და სამხრეთ ამერიკის ზონიდან, ორი ამერიკის შეერთებული შტატებიდან და სხვა ზონებიდან თითო გამარჯვებული.

ამას წინათ დამთავრდა ორი ზონალური ტურნირი. ირლანდიის ქალაქ დუბლინში გამარჯვებული გამოვიდნენ გროსმაისტერები პახმანი (ჩეხოსლოვაკია), გლიგორიჩი (იუგოსლავია) და ოსტატი ბენკო (უნგრეთი). სოფიაში პირველი ადგილი დაიკავა გროსმაისტერმა ფილიპმა (ჩეხოსლოვაკია). II III IV ადგილები გაიყვეს გროსმაისტერმა მატანოვიჩმა (იუგოსლავია), ოსტატებმა ნეიკირხმა (ბულგარეთი) და შლივამ (პოლონეთი). მათ შორის დამატებითი შეჯიბრების შემდეგ ორი მონაწილე დაიშვება საზონათშორისო ტურნირზე.

☆

III საერთაშორისო მეგობრული თამაშების დროს ლუჟნიკის სპორტის სასახლის რინგზე მიმდინარეობდა ფინალში გასულ მოკრივეთა ტურნირი.

• • •

სურათზე: მძიმე წონის მოკრივეთა შეხვედრა ა. აბრამოვსა (სსრკ) და ზ. ბენეშევსკის (ჩეხოსლოვაკია) შორის.

გამარჯვება და III მეგობრული თამაშების ოქროს მედალი მოიპოვა აბრამოვმა (მარცხნივ).

ფოტო ნ. ნაუმენკოვისა.

★

III საერთაშორისო სპორტულ თამაშებში საბჭოთა სპორტსმენმა ინესა იაუნზემემ დაიკავა პირველი ადგილი შუბით ტყორცნაში და გაიმეორა თამაშების რეკორდი. მისი შედეგია — 51 მეტრი და 60 სმ.

სურათზე: ი. იაუნზემე (სსრკ) ესაუბრება პოლონელ უ. ფიგვერს.

ფოტო ლ. დორენსკისა

ღირსეულად გავშალოთ საოქტომბრო მზადება

მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის გაშლა სპორტის დღემდე კულტივირებული ყველა სახეობის აღმავლობა საბჭოთა კავშირის უზარმაზარ ტერიტორიაზე, მხოლოდდამხოლოდ დიდი ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ მოხდა. საბჭოთა ხელისუფლების პირობებში ფიზკულტურისა და სპორტის არნახული წარმატება ყველასათვის ნათელია. ამას ადასტურებს მელბურნის ოლიმპიური თამაშები და მსოფლიო და ევროპის მრავალ პირველობაზე მოპოვებული გამარჯვებები, სპორტის ოსტატთა ყოველწლიურად მზარდი არმია... საბჭოთა ფიზკულტურელები და სპორტსმენები ერთი წუთითაც არ ივიწყებენ საბჭოთა მთავრობისა და სახელოვანი კომუნისტური პარტიის მიერ მათზე გაწეულ ამაგს. ამიტომ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავისათვის მზადებაში მთელი სულითა და გულით ჩაებნენ.

რა უნდა ვუპატაკოთ სამშობლოს იუბილეს დღეებში? პირველ რიგში ნიშნოსნებისა და თანრიგოსნების მომზადების გეგმის დროულად და მაღალხარისხოვნად შესრულება. ეს უაღრესად საპასუხისმგებლო საქმე რაიონში, ქალაქებში თუ ჩვენ კარგად გვაქვს დაყენებული მაშასადამე, ყველა მასშტაბის შეჯიბრებებში თამამად შეგვიძლია გამოვიდეთ, მაგრამ, როგორც ცნობილია, ეს საქმე რესპუბლიკის ბევრ რაიონში სათანადოდ ვერ გამოიყურება — ჩამორჩენაა, განსაკუთრებით თანრიგოსნების მომზადებაში. ამიტომ ახლავე, ვიდრე გვიან არ არის, უნდა დავრაზმოთ რაიონის, ქალაქის აქტივი და მტკიცე კონტროლი დავაწესოთ სპორტული სექციების მუშაობასა და შეჯიბრებაზე. აქტივის წევრები უნდა მივამაგროთ ძირეულ ფიზკულტურულ კოლექტივებზე, ცალკეულ სექციებზე, უნდა გამოვაცოცხლოთ სპორტული საზოგადოებების „მიძინებული“ რაისაბჭოები.

ამას წინათ მეტად სასიხარულო ცნობა მივიღეთ ლეხელიძიდან. ახალგაზრდა ბადროსმტყორცნელმა ლ. ხესაძემ სპორტის ოსტატის ნორმა შეასრულა, მაგრამ ერთი მერცხალი ხომ გაზაფხულს ვერ მოიყვანს. მიმდინარე წელს რესპუბლიკაში უნდა მომზადდეს 69 სპორტის ოსტატი! დიდი ოქტომბრის რევოლუციის მე-40 წლისთავისადმი რესპუბლიკის სპორტსმენთა საჩუქარი იქნება მათი ახალი მიღწევები — სპორტის ოსტატის საპატიო სახელის მოპოვება, ახალი რესპუბლიკური რეკორდების დამყარება. რესპუბლიკის სპორტსმენებს თავიანთი ოსტატობის გამოვლენის საშუალება სულ მალე მიეცემათ. ოქტომბერში, ბაქოში შეიკრიბებიან საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანისა და მოლდავეთის რესპუბლიკების სპორტსმენები თავიანთი ტრადიციული სპარტაკიადის ჩასატარებლად. აქ შეჯამდება ყველაფერი: როგორ ვითარდება სპორტის ესა თუ ის სახეობა, როგორ იზრდება სპორტსმენთა ტექნიკური შედეგები და როგორი მაჩვენებლებით შეხვდებიან ისინი საერთო სახალხო დღესასწაულს.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად განზრახულია ჩატარდეს საკავშირო მძლეოსნური კროსი და მძლეოსანთა საკავშირო შეჯიბრება დახურულ შენობაში. საკავშირო მასშტაბის სხვა კიდევ მრავალი ღონისძიებაა გათვალისწინებული. ჩვენც ასე უნდა მოვიქცეთ. სპორტული კალენდარის გარდა უნდა მოვამზადოთ სპეციალური შეჯიბრება, ღონისძიება. სასურველი იქნება, თუ ჩავატარებთ მასობრივ ღონისძიებებს — მაგალითად: მოტო, ველო საგიტაციო გადარბენებს, ტურისტთა ლაშქრობებს, შევადგენთ სპორტსმენთა ბრიგადებს, რომლებიც ეწვევიან საწარმოთა, საკოლმეურნეო ძირეულ კოლექტივებს და თავიანთ ოსტატობას აჩვენებენ მასებს. ბრიგადებს უნდა შევუდგინოთ მრავალფეროვანი, მიმზიდველი პროგრამა, გავაყოლოთ მომხსენებელი, რომელიც მსმენელებს მოუთხრობს იმის შესახებ, თუ როგორ აყვავდა საბჭოთა ხელისუფლების პირობებში ფიზკულტურა და სპორტი, როგორ გადაიქცა იგი მასების საკუთრებად.

გასულ წელს „დინამომ“, „ბურევესტნიკმა“, „ლოკომოტივმა“ და სხვა საზოგადოებებმა მეტად ნაყოფიერი საშეფო მუშაობა გასწიეს. წელს კი ეს მეტად საჭირო საქმე დავიწყებას მიეცა. მართალია, სპორტსმენთა დიდი ნაწილი ამიერკავკასიისა და მოლდავეთის რესპუბლიკების სპარტაკიადისათვის მზადებით არიან დაკავებულნი, მაგრამ ჩვენ არც თუ ისე „ღარიბები“ ვართ, რომ საშეფო კოლმეურნეობებში გასაგზავნი ბრიგადები ვერ დავაკომპლექტოთ. საშეფო მუშაობა უნდა გამოცოცხლდეს, სოფელი მოელის სპორტულ ბრიგადებს!

რესპუბლიკაში მრავალი სპორტული ობიექტი შენდება. სამწუხაროდ, ბევრი მათგანის აგება შეჩერებულია, ბაზები კი ჩვენ ისე გვჭირდება როგორც ჰაერი. რასაკვირველია, ყველაფერში მშენებელი ორგანიზაციები არ არიან დამნაშავენი, ჩვენც თავის დროზე ვერ დავეხმარეთ მათ. მაგრამ თავი დავანებოთ დამნაშავის ძებნას. ახლა საჭიროა გადავხედოთ იმ მშენებლობებს, რომელთა დამთავრება 7 ნოემბრამდე შეიძლება და საქმეს შევუტიოთ. დედაქალაქში იქნება ის თუ რესპუბლიკის რომელიმე რაიონში იუბილეს დღეებში საექსპლოატაციოდ გადავცეთ იგი.

რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტულმა ორგანიზაციამ, რომელსაც მუშაობის საკმაო გამოცდილება აქვს და მას არა ერთი და ორი ღონისძიება ჩაუტარებია სასახელოდ, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავისათვის მზადების დღეებში უნდა თქვას თავისი სიტყვა — მიმდინარე სპორტული სეზონი წარმატებით უნდა დაამთავროს და ყოველ მხრივ იბრძოლოს მშობლიური საბჭოთა სპორტის დიდებისათვის.

პირველობისათვის ბრძოლა დაძაბული იყო

საქართველოს 1957 წლის პირველობა სასტენდო სროლაში

მეოთხე დღეს ჩატარდა მისვლით როლა. სასტენდო სპორტის ეს სა ობა ნამდვილი მონადირულია — ოფმომარჯვებული მსროლელი რთხილი ნაბიჯით უახლოვდება იმ ონას, სადაც მას მოულოდნელად უფრინდება სამიზნე.

დაიწყო პირველი სერია, რომე იც ბრწყინვალედ გაიარა ბ. ანტო ვმა. მან 25 სამიზნიდან არც ერთი ა დააცილა მაშინ, როდესაც მისმა ავარმა მეტოქემ ზ. მაჩხანელმა 23 ეფში დააზიანა. აღსანიშნავია მა რაველ სპორტის ოსტატ ბ. მეგ ელაძის და თბილისელების ტ. კო ერიძისა და ე. ჯაბახიძის შედეგე . პირველმა დააზიანა 23 სამიზნე, ანარჩენებმა 22-22 თვითეულმა. ორე სერია წარუმატებლად დაამ ვრა ბ. ანტონოვმა, რომელმაც ოლოდ 20 სამიზნის დაზიანება ძლო. მაჩხანელი 22 სამიზნის და ანებით გაუთანაბრდა მას. მესამე სერიის გავლის შემდეგ ანტონოვს 23 დაზიანებული სამიზნე აღმოაჩნდა მაჩხანელს — 22. ამრიგად, ანტონოვი კვლავ წინ გავიდა 1 ქულით. დარჩა უკანასკნელი, გადამწყვეტი სერია.

პირველი ესროდა ანტონოვი, რომელიც ცდილობდა შეენარჩუნებინა მოპოვებული უპირატესობა და რევანში ხელო ადგილიდან სროლაში დამარცხებისათვის, მაგრამ ზედმეტმა დაძაბულობამ იგი წონასწორობიდან გამოიყვანა — ყოველ 4-5 ნასროლში თითოს აცილებდა და ამ გადამწყვეტ სერიაში მხოლოდ 17 სამიზნის დაზიანება შეძლო. მაჩხანელმა შეინარჩუნა სიმშვიდე, დააზიანა 21 სამიზნე და 88 ქულით პირველი ადგილი დაისაკუთრა. მეორე ადგილზე გასული ბ. ანტონოვი გამარჯვებულს 3 ქულით ჩამორჩა. მესამე ადგილზეა პირველთანრიგოსანი ტ. კობერიძე (თბილისი). კარგი შედეგები ჰქონდათ მისვლით სროლაში აგრეთვე ბ. მეგრელაძეს და რ. ჩიგოგიძეს (მახარაძის ნაკრები).

გუნდურ ჩათვლაში 318 ქულით პირველი ადგილი თბილისის „მონკავშირის" გუნდმა დაიკავა, მეორე ადგილზე 279 ქულით ამიერკავკასიის სამონადირეო საზოგადოების გუნდი აღმოჩნდა, მესამე ადგილი 241 ქულით წილად ხვდა აფხაზეთის ნაკრებს.

მრგვალ სტენდზე სროლა იმით დაიწყო, რომ პირველ სერიაში ჩვენი ქვეყნის ორმა საუკეთესო მსროლელმა ბ. ანტონოვმა და ზ. მაჩხანელმა 24-24 სამიზნე დააზიანეს. მათ მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩა ახალგაზრდა პირველთანრიგოსანი გ. დევდარიანი (თბილისი). 22-22 სამიზნის დაზიანება შეძლეს სოხუმელმა სპორტის ოსტატმა ა. ოვსეპიანმა და თბილისელმა პირველთანრიგოსანმა მ. კუროჩკინმა. როგორც მოსალოდნელი იყო, საქართველოს 1957 წლის ჩემპიონის საპატიო სახელი მოიპოვა საბჭოთა კავშირის ჩემპიონმა სროლის ამ სახეობაში, ევროპის პირველობის პრიზიორმა ბ. ანტონოვმა, რომელმაც მომდევნო ორ სერიაში დააზიანა 48 სამიზნე 50 შესაძლებლიდან, საერთო ჯამში დააგროვა 94 ქულა. მეორე ადგილი დაიკავა ზ. მაჩხანელმა, მესამე — ლ. სიმონიანმა (თბილისი).

გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი 313 ქულით თბილისელებმა დაიკავეს. მეორე ადგილზეა ამიერკავკასიის სამონადირეო საზოგადოების გუნდი, მესამეზე — აფხაზეთი.

ჯ. მოწონელიძე,
ა. ბარნოვი.

• • •

სურათებზე: მარცხნივ — — შეჯიბრების მონაწილენი ე. მელიქიშვილი, ე. ჯაბახიძე. ქვევით — ახალგაზრდა მესტენდეები ქ. კლდიაშვილი და ა. ხახანაშვილი შესვენების დროს.

ფოტო დ. იაკობაშვილისა

ვ. საღლიანი

მთა ვერ შემაჩერებს

ზვავი ასფუთიან ლოდებს ატრიალებს,
მწვერვალს მეხისგან ცეცხლი ეკიდება,
ქარი ბრაზიანი, ქარი სატიალე
ღრუბლებს ერეკება კლდეებს ეჭიდება.

მკერდით გავარღვიე ნისლის შავი ბადე,
კლდესაც გავანგრევ და მთა-ბარს შევაჯერებ
ამ ცას შეყუდებულ მთებში დავიბადე,
მთა ვერ შემაშინებს, მთა ვერ შემაჩერებს.

ოცნება მწვერვალზე

ჯიხვებმა ბალახზე ნადიმი გამართეს,
დახედა ქვეყანას ზაფხულის მწველმა მზემაც.
ავუევი ბილიკებს თოვლიან ალმართზე
და უკვე მწვერვალზე ვარ.

გავცქერი ხეობებს, ჩანჩქერებს და ხრამებს,
დაღლილი ნისლივით მეხვევა ფიქრები.
იმ დიდ სიხარულზე ვოცნებობ ახლა მე,
როცა კომუნიზმის მწვერვალზე ვიქნები.

გამოუყენებელი შესაძლებლობა და წაგებული მატჩი

ქუთაისი. ქალაქის სტადიონი. 11 აგვისტო.
„ლოკომოტივი" (ქუთაისი) — „ნეფტიანიკი" (ბაქო) — 0:3 (0:0).
„ლოკომოტივი" — კვაჭაძე, ჯაჯელავა, გაიხარაშვილი, პეტრიაშვილი, ანთიძე, ბობოხიძე, მაისურაძე (ხაზარაძე), ყორდანია, კახიანი, გოგელაური, ხორდია.
„ნეფტიანიკი" — ისმაილოვი, დენისოვი, ტერენტიევი, მამედოვი, ჯავახიანი, ამიროვი, სმირნოვი, ალექსეროვი, ახკეროვი, მიკუჩაძე, ეინულაევი.
მსაჯი ვ. სარქისოვი. (სოჭი).

ეს იყო პირველ წრეში გამოტოვებული მატჩი. მიუხედავად იმისა, რომ ქუთაისის „ლოკომოტივი" და ბაქოს „ნეფტიანიკი" პირველად ხედებოდნენ ერთმანეთს, თამაში დაიწყო ყოველგვარი წინასწარი დაზვერვის გარეშე. ინიციატივა თავიდანვე მასპინძლებმა ჩაიგდეს ხელთ და უკვე მე-2 წუთზე მეკარის პირისპირ დარჩენილმა მაისურაძემ ააცილა ბურთი კარს. მცირე ხნის შემდეგ გოგელაურმა მიიღო კახიანის გადაცემა, გ...და კარგ პოზიციაში, მაგრამ ვერ შეძლო ბურთის გატანა.

ბაქოელთა დაცვას სულ უფრო-და-უფრო უჭირდა მოწინააღმდეგეთა თავდამსხმელების მეტად აგრესიული და სწრაფი იერიშების მოგერიება. ამიტომ სტუმრებმა სწორ ტაქტიკურ ხერხს მიმართეს — გუნდის ყოველი მოთამაშე ცდილობდა გაეჩერებინა ბურთი, შეენელებინა თამაშის ტემპი და ამით მასპინძელთათვის მოესპო უპირატესობა სისწრაფეში. ამის შედეგად ტემპმა მართლაც მოიკლო და ტაიმის დასასრულისათვის თამაში გათანაბრდა, თუმცა უკანასკნელ წუთებში კახიანი მარტოდმარტო დარჩა ისმაილოვთან, სცადა მისი მოტყუება და ბურთი უკანასკნელ მომენტში ფეხში მოხვდა უკვე მიწაზე მწოლ მეკარეს.

შესვენების შემდეგ სურათი მთლიანად შეიცვალა. ინიციატივა ბაქოელთა მხარეს გადავიდა. გაცილებით უფრო აქტიურად, ვიდრე პირველ ტაიმში, თამაშობდა მათი თავდასხმის ხუთეული.

49-ე წუთზე მიკუჩაძემ კარგად ისარგებლა „ლოკომოტივის" კართან შექმნილი არეულობით და გახსნა ანგარიში. რკინიგზელებმა სცადეს გარდატეხის შეტანა თამაშში, მაგრამ მათს იერიშებში არ იგრძნობოდა ძველი ენერგია და შეთამაშება. 72-ე წუთზე მიკუჩაძემ გამოიყენა ჯაჯილავას შეცდომა და მეორე ბურთი გაიტანა.

ამ გოლის შემდეგ შეხვედრის ბედი ფაქტიურად გადაწყვეტილი იყო. ქუთაისლები ჩქარობდნენ, უმისამართოდ აგზავნიდნენ ბურთებს და ხშირად უშვებდნენ შეცდომებს. ერთ-ერთი ასეთი შეცდომით ისარგებლა მიკუჩაძემ და მესამე ბურთი გაიტანა რკინიგზელთა კარში.

ვფიქრობთ, ეს მატჩი გაკვეთილი იქნება ქუთაისის ახალგაზრდა გუნდისათვის, რომელმაც ვერ გამოიყენა პირველი ტაიმის აშკარა უპირატესობა და წააგო თამაში.

ნ. ჯაფარიძე,
ჩვენი სპეც. კორ.

გაუმჯობესებული რეკორდები

★

საქართველოს 1957 წლის პირველობა ტყვიით სროლაში

★

კვირას დიღმის სასროლეთზე იხსნა საქართველოს 1957 წლის რად-გუნდური პირველობა ტყვიით ოლაში. შეჯიბრებაში მონაწიობენ თბილისის ოფიცერთა სა ქო სპორტული კლუბის, დოსაასა და „დინამოს" გუნდები.

პირველ დღეს ჩატარდა შეჯიბრე მცირეკალიბრიანი შაშხანიდან 50 რზე სამივე მდგომარეობიდან ოლაში, რომელშიც გუნდური პირ ადგილი 1664 ქულით წილად თბილისის „დინამოს" მსროლელთა კოლექტივს, მეორე ადგილ 1101 ქულით გამოვიდა თბილისის ფიცერთა საოლქო სპორტული უბი, მესამეზე — დოსააფი.

ირად ჩათვლაში სამივე მდგომარეობიდან რესპუბლიკის ჩემპიონის სახელი მოიპოვა დოსააფის წარმომადგენელმა ი. ოქრუაშვილმა, რომლის შედეგი (573 ქულა) ერთი ქულით აღემატება რესპუბლიკურ რეკორდს, რომელიც ეკუთვნოდა რ. ანანიკიანს. მანვე დგომელა სროლიდან 4 ქულით გააუმჯობესა ქუთაისელ შ. სოფრომაძის მიერ 1955 წელს დამყარებული რესპუბლიკური რეკორდი.

პირველი ადგილები წოლელა და ჩოქელა მდგომარეობიდან სროლაში წილად ხვდათ დინამოელებს ა. ვრანიკსა და კ. ანანიევს.

შეჯიბრება გრძელდება.

ვ. ხანდამიშვილი

ლიდერთა მდგომარეობა

11 აგვისტოს „ბ" კლასის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო გათამაშების მესამე ზონის ლიდერმა ერევნის „სპარტაკმა" თავის მინდორზე მიიღო კიროვის „დინამო" და დაამარცხა იგი ანგარიშით 5:2.

ამჟამად მესამე ზონის ლიდერთა შორის შემდეგი მდგომარეობაა: წინაა ერევნის „სპარტაკი", რომელსაც 21 თამაშიდან (15 მოგება, 5 ფრე, 1 წაგება, ბურთების შეფარდება 53:14) აქვს 35 ქულა. მეორე ადგილზე 29 ქულით 20 თამაშის შემდეგ იმყოფება ყ. მოლოტოვის გუნდი (12 მოგება, 5 ფრე, 3 წაგება, ბურთების შეფარდება 33:10).

თბილისის საოლქო კლუბის გუნდს ჩატარებული აქვს სულ 18 თამაში. აქედან არმიელებმა მოიგეს 12, ფრედ დაამთავრეს 4 და წააგეს 2 მატჩი ბურთების შეფარდებით 41:17. მათ აქვთ 28 ქულა.

მეოთხე ადგილზე გადაინაცვლა ბაქოს „ნეფტიანიკმა", რომელსაც 20 თამაშიდან აქვს 27 ქულა (11 მოგება, 5 ფრე, 4 წაგება, ბურთების შეფარდება 37:26). სვერდლოვსკის არმიელებმა 19 თამაშის შემდეგ დააგროვეს 23 ქულა (9 მოგება, 5 ფრე, 5 წაგება, ბურთების შეფარდება 31:15) და იმყოფებიან მეხუთე ადგილზე.

ქუთაისის „ლოკომოტივს" ამჟამად უკავია მეექვსე ადგილი. გუნდს ჩატარებული აქვს სულ 16 თამაში. აქედან რკინიგზელებმა მოიგეს 9 მატჩი, 4 ფრედ დაამთავრეს და 3 წააგეს. ბურთების შეფარდებაა 24:10, ქულათა რაოდენობა — 22.

ტექნიკა და სპორტი

კაპრონის სიმები

ჩოგბურთის ჩოგანისათვის საჭი სიმები საკმაოდ ძვირი ღირს, განსაკუთრებით თუ იგი ცხვრის ნაწლავებისგანაა დამზადებული. ეს დროს, როდესაც ჩოგბურთის ტებს წელიწადში დაახლოეთ 10-ჯერ უხდებათ სიმების გა ცვლა. სიმების გამძლეობა დაკავშირე ლია სხვადასხვა ფაქტორებთან: ხმარების ხანგრძლივობა დაჭიმვის სიძლიერესთან, ჩოგბურთელის დარტყმის ძალას ატმოსფერულ მოვლენებთან და სხვ. მაგალითად, ნესტიან ამინდში სიმები გაცილებით ხშირად წყდება ვიდრე მშრალ ამინდში.

ღლეისათვის სიმების საკითხი, განსაკუთრებით მასობრივი ჩოგბურთისათვის, მთლიანად გადაწყვეტილია. მოსკოვის ერთ-ერთი ექსპერიმენტალური ინსტიტუტის წარმომადგენლებმა დაამზადეს კაპრონის გამძლე სიმები. ასეთი სიმების კომპლექტი ღირს სულ რაღაც ოთხი მანეთი. იგი საკმაოდ მყარი და ამავე დროს ელასტიკურია.

კაპრონის სიმებმა გაიარა ყველა გამოცდა და იგი ამჟამად წარმოებაშია ჩაშვებული.

წვრთნა რადიოკავშირით

ფეხბურთელთა გუნდების წვრთნაში ახალი ტაქტიკური მეთოდები ხშირად სასურველ ეფექტს ვერ აღწევს იმიტომ, რომ მწვრთნელი ერთდროულად დროს ვერ ხელმძღვანელობს მოედნის სხვადასხვა კუთხეში მყოფ ფეხბურთელთა მოქმედებას. ვარჯიშის ნორმალური, სწორი გზით წარმართვისათვის და ცალკეულ მოთამაშეთა შეცდომების თავიდან აცილების მიზნით მწვრთნელს ხშირად უხდება მეცადინეობის შეწყვეტა. ასეთ იძულებით შეჩერებაზე მეტწილად სავარჯიშო დროის 25—30 პროცენტი იხარჯება. მაგრამ ეს კიდევ არ არის ყველაფერი. ვარჯიშის შეწყვეტა არღვევს მეცადინეობის რითმიულობას, ანელებს ტემპს, ინტერესს უკარგავს სპორტსმენს ვარჯიშისადმი.

ფიზკულტურის ცენტრალური ინსტიტუტის თანამშრომლებმა პატარა ზომის მიმღები და გადამცემი რადიოაპარატურის დამუშავების მეშვეობით შეძლო ამ უხერხულობათა გამოსწორება. მინიატურული მიმღები თავსდება ჯიბეში რომელიც დამაგრებულია სპორტსმენის ქამარზე. კიდევ უფრო პატარა, ღაახლოვებით ფოლაქის ზომის, ტელეფონი მაგრდება სხეულის ზედა ნაწილში — თავის მიდამოებში (უფრო ხშირად ქუდზე). მისი საშუალებით სპორტსმენს ესმის მწვრთნელის მითითებანი. ეს აპარატურა სრულებით არ უშლის ხელს ფეხბურთელის მოქმედებას.

მაგრამ მხედველობაში უნდა მიეღოთ ის, რომ მიმღები და გადამცემი აპარატურის გამოყენება შესაძლებელია და დასაშვებია მხოლოდ ვარჯიშის დროს. კალენდარული და ამხანაგური შეხვედრების დროს ამ აპარატურით ხელმძღვანელობა დათვურ სამსახურს გაუწევდა ფეხბურთელს, შეზღუდავდა მის შემოქმედებით ინიციატივას და თამაშს გადააქცევდა მწვრთნელთა შორის შეჯიბრებად.

ფიზკულტურის ცენტრალური ინსტიტუტის თანამშრომლების ნოვატორული აპარატი მოკლე ხანში წამყვან ადგილს დაიჭერს ჩვენი ფეხბურთელების წვრთნაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოტო რ. ლვამიჩავასი.

ნიჩბოსნობაში საქართველოს პირველობის გათამაშებაში გამარჯვებული გამოვიდა ქალაქ ფოთის ნაკრები გუნდი, რომელმაც სპორტის ამ ახლად დანერგილ სახეობაში მეტად ძლიერ მოწინააღმდეგეებს გაუსწრო.

• • •

სურათზე: მცხეთელი სპორტსმენები: ს. ხამხაძე და ა. ბერაძე ორმოსახმელიან კანოეთი შეჯიბრების დროს. ფოთელები (მარცხნიდან) ა. სიჭინავა, გ. ქერქაძე, გ. მედია და ლ. გლოკი ოთხმოსახმელიანი ბაიდარით დისტანციაზე. ერთადგილიანი ბაიდარით რბოლაში გამარჯვებული ბათუმელი ვ. საზონოვი.

ფურცლები ფეხბურთის ისტორიიდან

1907 წელს, როდესაც თბილისის „სოკოლის" გუნდი პრაღის V შეკრებაზე იმყოფებოდა, საქართველოდან ჩასულმა სპორტსმენებმა პირველად იხილეს ნამდვილი ინგლისური ფეხბურთი და გაეცნენ გუნდის წვრთნის მეთოდებს.

ა. ა. ელზენგერმა და გ. ს. ეგნატაშვილმა პრაღაშივე გადაწყვიტეს სერიოზულად მოეკიდათ ხელი ფეხბურთისათვის და თბილისში შესაფერი მოედანი გამოენახათ. თბილისში ჩამოსვლისთანავე სათანადო მოედანი შეარჩიეს ახლანდელი სტალინის რაიონის საკოლმეურნეო ბაზრის ტერიტორიაზე. აქ, რკინიგზის ერთ-ერთ სახელოსნოს გვერდით, გაჩაღდა ფეხბურთის თამაშები. წვრთნა და ფეხბურთის თამაშები ეწყობოდა აგრეთვე ვაკეში უნივერსიტეტის ზევით, ყოფილ აგურის ქარხნებთან.

ფეხბურთის პირველი მოთამაშენი იყვნენ: გიგუშა ბარათაშვილი, მიხეილ მოხოვი, ისიდორე გაგუა, ჩიკალდინი, გიორგი სიმონის-ძე ეგნატაშვილი, კონსტანტინე ნიკოლოზის-ძე როსტომბეგოვი, სოსო მაჭავარიანი, გელეკი, ბაბაევი, ბარათაშვილი, ჯემს არტემის-ძე აზატიანი, თეოდორ კორტუმი, ძმები სოკოლოვები და სხვანი. გუნდის კაპიტანი იყო ელზენგერი.

ფეხბურთის გუნდები ჩამოყალიბდა თბილისის ვაჟთა I და II გიმნაზიაში მოსწავლეთაგან. გუნდები შეიქმნა აგრეთვე სამხედრო სკოლებთან და სამხედრო ნაწილებთანაც. აღსანიშნავია, რომ ფეხბურთისადმი განსაკუთრებულ ინტერესს თბილისის ვაჟთა II გიმნაზიის მოსწავლენი იჩენდნენ. ამ სასწავლებლის გუნდს სათავეში ედგა ენერგიული და გაწაფული ფეხბურთელი შერშოვი.

1909 წელს ქუთაისში საექსკურსიოდ გაემგზავრნენ თბილისელი მოსწავლეები. 22 ოქტომბრისათვის განზრახული იყო ფეხბურთის საჩვენებელი მატჩის მოწყობა. ამ ღონისძიებაზე საპატიო სტუმრების მისაპატიჟებლად სპეციალური მოსაწვევი ბარათებიც კი შეადგინეს. დღის 3 საათისათვის კაზაკ ხოპერთა პოლკის მოედანზე დანიშნული იყო ფეხბურთის მატჩი თბილისის ვაჟთა I და II გიმნაზიის გუნდებს შორის. სამწუხაროდ, თამაშის მიმდინარეობისა და შედეგების შესახებ არაფერია ცნობილი. (იხ. ცსია ფ. № 422, საქ. № 10248, გვ. 34).

თბილისში პირველი ოფიციალური მატჩი ფეხბურთში შედგა 1911 წლის 21 ოქტომბერს. თამაშობდნენ სპორტსაზოგადოება „სოკოლის" (თეთრი ტრუსებითა და წითელი მაისურებით) და თბილისის ფეხბურთელთა სხვა წრეებიდან შედგენილი ნაკრები გუნდი (თეთრი ტრუსებითა და შავი მაისურებით). ამ პირველ საჯარო თამაშზე დიდძალ მაყურებელს მოელოდნენ. ამიტომ ფეხბურთის წესების გაცნობის მიზნით მატჩზე დამსწრეთათვის სპეციალურად იქნა დაბეჭდილი თამაშის წესები. ძველი ფეხბურთელისა და ტანმოვარჯიშის ა. აზატიანის პირად არქივში შემორჩენილი, თაბახის ფურცელზე რუსულად გამოქვეყნებული ეს დოკუმენტი, პირველი დაბეჭდილი ფეხბურთის წესებია საქართველოში.

გაზეთი „კავკაზი" ფეხბურთის ამ მატჩის შესახებ მოგვითხრობს: „ფეხბურთის მოთამაშეებმა ოქტომბერში თბილისში მოაწყეს პირველი საჯარო მატჩი მოსწავლე ახალგაზრდობის ფეხბურთელთა წრესთან. გამარჯვებულნი შევარდნები გამოვიდნენ".

თბილისის ფეხბურთელთა კოლექტივი ამის შემდეგ კიდევ უფრო სერიოზულად ჰკიდებს ხელს ფეხბურთის განვითარებას და მისი პოპულარიზაციის მიზნით აწყობს გასვლით თამაშებს. ასე მაგალითად, 1912 წლის ივლისში თბილისის გიმნაზიელი ფეხბურთელები ქვეითად გაემგზავრნენ მანგლისში, სადაც სამხედრო ნაწილებს იმდროისათვის საკმაოდ კარგად მომზადებული გუნდი ჰყავდათ. მატჩი 16 ივლისს შედგა. თამაშის პირველ ნახევარში თბილისელებმა გაიტანეს გოლი. მეორე ნახევრის დამთავრება ბინდის გამო აღარ მოხერხდა. ამიტომ შეჯიბრება მეორე დღისათვის გადაიდო. გაზეთი „კავკაზი" ფეხბურთის ამ მატჩს ასე აგვიწერს:

„მეორე დღეს შეჯიბრზე მოწვეულ იქნა ორკესტრი, შეიკრიბა თითქმის ყველა დამსვენებელი, რომლებიც გაცხოველებული ინტერესით ადევნებდნენ თვალს თამაშს და ტაშის ღაკვრით აჯილდოვებდნენ ყოველ მარჯვე დარტყმას... შეჯიბრება ფრედ დამთავრდა, მაგრამ საჭიროა ვაღიაროთ, რომ თბილისის გუნდი ბევრად ძლიერი და უკეთესად გავარჯიშებული იყო.

1912 წელს თბილისის „სოკოლის" ფეხბურთელთა გუნდი საკმაოდ ძლიერ კოლექტივად ითვლებოდა. მათ ბაქოში არსებული ინგლისელთა კლუბის ფეხბურთელებიც კი გამოიწვიეს სათამაშოდ. ამის შესახებ თბილისის გაზეთ „კურიერ-კოპეიკაში" 1912 წლის 3 ნომერში გამოქვეყნებულია განცხადება: თბილისის ტანვარჯიშული საზოგადოება „შევარდენი" ორშაბათს, 1912 წლის 26 მარტს ელისაბედის ქ. № 135 მდებარე პლაცზე, ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს მახლობლად აწყობს შეჯიბრებას ფეხბურთში ბაქოს ინგლისურ კლუბსა და თბილისის „შევარდენს" შორის. ბილეთები იყიდება ბ-ნ. აზატიანთან (მიხაილოვის პროსპექტი № 83) და ძმებ ალშვანგებთან (სასახლის ქუჩა). მეორე მატჩი ინგლისელებთან შედგა 1913 წლის 26 მარტს და თბილისელთა გამარჯვებით დამთავრდა — 5:4. წაგებით გაცხარებულმა ინგლისელებმა განაცხადეს, რომ სანამ რევანშს არ აიღებდნენ, უკან არ დაბრუნდებოდნენ. თბილისელებმა მიიღეს გამოწვევა. მატჩს დიდძალი მაყურებელი დაესწრო. ინგლისელები უხეშობდნენ, თამაში გაძნელდა. მაშინ გუნდის კაპიტანმა ელზენგერმა უხეში თამაშის „სპეციალისტს" მოხოვს დაავალა კონტრღონისძიების მიღება, რომელმაც არ დააყოვნა. მაშინვე შესწყდა თამაში. ინგლისელებმა პრეტენზიები განაცხადეს, ბოლოს სუფთა თამაშზე შეთანხმდნენ და მატჩი ფრედ დაამთავრეს.

ამავე წლის აპრილში თბილისელები ეწვიენ ბაქოელებს. შეჯიბრება შედგა ბაქოს ახლო ბალახნებთან და დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით ანგარიშით 2:0.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში ფეხბურთის საქმე ნელი ტემპით მიდიოდა წინ. თბილისში მხოლოდ სამი ოფიციალური მატჩი ჩატარდა. პირველი, კავკავის ფეხბურთელებთან. თბილისელებმა გუნდი იმავე დღეს სახელდახელოდ შეკრიბეს და დაძაბული და საინტერესო შეხვედრა ფრედ (1:1) დაამთავრეს. მეორე გუნდი კისლოვოდსკიდან ესტუმრა თბილისს... „აქ კი, — წერს ჟურნალი „შევარდენი", — იღბალმა გვიღალატა: თვით შეჯიბრების დღეს გუნდის უფროსს მოუკვდა მამა და ორი მოთამაშე კი ავად გახდა. შეჯიბრება შესდგა სუსტ მოთამაშეთა დამატებით ჩვენს მხრივ". მესამე თამაში შედგა ყოფილ სასულიერო სემინარიაში დაბანაკებული ერთ-ერთ რუსულ პოლკთან ყოველგვარი წინასწარი მომზადების გარეშე. ამ შეჯიბრების შესახებ ჟურნალი „შევარდენი" მოგვითხრობს: „რადგან ყველას შეტყობინება ვერ მოხერხდა, რამდენიმე მეორე გუნდის მოთამაშეებიც იღებდნენ მონაწილეობას. მაინც მოწინააღმდეგეს ჩვენზე მეტად ღონიერს ადვილად გავუძელით და 0:0 გავათავეთ შეჯიბრება".

1922 წლის 26 ივნისს ფოთს ესტუმრა ქუთაისის ფეხბურთელთა გუნდი. შეჯიბრებამ ფოთელთა დიდი ინტერესი გამოიწვია. ცხარე სპორტული ბრძოლა ფოთელმა სპარტაკელებმა (6:0) მოიგეს. მეორე კვირას მოწყობილი მატჩი კი ფოთელებსა და სენაკელებს შორის, დაძაბული თამაშის შემდეგ, ფრედ დამთავრდა.

მომდევნო წლებში ფეხბურთი ნელა, მაგრამ ბეჯითად იკიდებს ფეხს საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში, ფართოდ იდგამს ფესვებს და სამართლიანად იმსახურებს პოპულარობას. ასეთია ფაქტები, რომლებიც იუწყებიან საქართველოში ფეხბურთის პირველი ნაბიჯების შესახებ. საბოლოო სიტყვა საქართველოში ფეხბურთის ისტორიის საფუძვლიან გამომკვლევსა და შემდგენელს ეკუთვნის.

ა. ცამციშვილი

დასასრული. იხ. „ლელო" № 96.

ყოველი მხრიდან

ფრენბურთი და ოლიმპიური თამაშები

პარიზში გაიმართა ფრენბურთის საერთაშორისო ფედერაციის ადმინისტრაციული საბჭოს მორიგი სხდომა, რომელზედაც განხილულ იქნა ფრენბურთის განვითარების სხვადასხვა საჭირბოროტო საკითხი.

ფედერაციის საბჭოს მუშაობაში მონაწილეობა მიიღო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა ვ. სავინმა (საბჭოთა კავშირი).

სხდომის წევრებმა წინადადება შეიტანეს წუთშესვენებათა რიცხვის შესამცირებლად ორიდან ერთამდე ყოველ პარტიაში. მაგრამ ამ საკითხის საბოლოო გადაწყვეტა დაეკისრა ფედერაციის კონგრესს.

სხდომის ყურადღების ცენტრში იყო ერთი ძირითადი საკითხი — რატომ არ არის ამდენ ხანს ფრენბურთი ოლიმპიური თამაშების პროგრამაში შეტანილი? ცნობილია, რომ საბჭოთა კავშირის სპორტულმა ორგანიზაციებმა ორჯერ — 1950 და 1954 წლებში შეიტანეს წინადადება ფრენბურთის ოლიმპიურ პროგრამაში შეტანის შესახებ, მაგრამ იგი უარყოფილ იქნა. ამის ერთ-ერთ მიზეზად მოყვანილ იქნა ის, რომ ოლიმპიური კომიტეტის წევრები არ იცნობენ კარგად ფრენბურთს და არ თვლიან მას ატლეტურ თამაშად.

გადაწყდა, სოფიაში საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სხდომის მსვლელობის დროს მოეწყოს ევროპის 6 უძლიერესი გუნდის მონაწილეობით ტურნირი და მასზე მოწვეულ იქნან კომიტეტის წევრები.

ადმინისტრაციული საბჭოს მუშაობაში მონაწილეობა მიიღო 15-მა სახელმწიფომ. პარიზში არ იყვნენ მხოლოდ იაპონიისა და ეგვიპტის წარმომადგენლები. შეერთებულმა შტატებმა კი თავისი მანდატი ჩააბარა საფრანგეთს.

ფეხბურთის ირგვლივ

იტალიის საფეხბურთო კლუბები განაგრძობენ სხვადასხვა ქვეყნის საუკეთესო ფეხბურთელებზე ნადირობას. როგორც ცნობილი გახდა, იუგოსლავიის უძლიერესი ცენტრალური თავდამსხმელი ფუკასი სამი წლით გადადის კლუბ „ბოლონიაში". კლუბ „რომას" ხელმძღვანელობამ უკანასკნელი ექვსი წლის განმავლობაში იყიდა „ათი მილიონის" უცხოელი ფეხბურთელი — სულ 48 კაცი.

• • •

ცნობილმა ფეხბურთელმა სტენლი მეტიუზმა განაცხადა, რომ მას დიდი სურვილი აქვს ითამაშოს 1958 წლის მსოფლიო ჩემპიონატში ინგლისის ნაკრების შემადგენლობაში და შემდეგ დატოვოს ფეხბურთის ასპარეზი. მეტიუზი 1915 წელს დაიბადა, ამის მიუხედავად სავსეა ფეხბურთელისათვის საჭირო ენერგიით, ხშირად თამაშობს ინგლისის პირველი ნაკრების შემადგენლობაში — კერძოდ, დიდი წარმატებით ჩაატარა მატჩი ირლანდიასთან.

• • •

„ფიორენტინამ" ვენაში მყოფ ცნობილ უნგრელ ფეხბურთელს შანდორ კოჩიშს 300.000 გერმანული მარკა შეაძლია, მაგრამ კოჩიშმა უარი განაცხადა იტალიაში წასვლაზე, რადგან სამშობლოში დაბრუნება სურს.

რედაქტორი ი. უგულავა.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო"
ტელეფონები: რედაქტორისა — 3-89-62, პ.მგ. მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, მორიგისა და გამომშვების — 3-88-25.

საქართველოს კპ ც. კ-ის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 03601